საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-18/61

03 მაისი 2019 წ.

ქ. ბათუმი

ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შოთა რუსთაველისა და ხუსეინ ნაკაიძის სახელობითი (საუნივერსიტეტო) სტიპენდიების გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №13 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძისათვის 2019 წლის ანაზღაურებადი შვებულების მიცემის შესახებ'' ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 27 მარტის №01-14/109 ბრძანების, ,,ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩვეულებრივი სტიპენდიების გაცემის შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 01 აპრილის №01-18/43 ბრძანების, ,,ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №1 გადაწყვეტილებისა და ,,ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შოთა რუსთაველისა და ხუსეინ ნაკაიძის სახელობითი (საუნივერსიტეტო) სტიპენდიების დანიშვნის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 2 მაისის №01-08/260 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შოთა რუსთაველისა და ხუსეინ ნაკაიძის სახელობის (საუნივერსიტეტო) სტიპენდიები 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე ერთჯერადად 1000 ლარის (ხელზე გასაცემი თანხა) ოდენობით გაიცეს ბსუ-ს შემდეგ სტუდენტებზე:

ა) შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდია - არჩილ ჯინჭარაძეს (პ/ნ [redacted] იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტზე.

ბ) ხუსეინ ნაკაიძის სახელობითი სტიპენდია - ნესტან ვარშანიძეს (პ/ნ [redacted] ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტზე.

2. გამოცემის დღიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 01 აპრილის №01-18/43 ბრძანება სტუდენტების არჩილ ჯინჭარაძისა და ნესტან ვარშანიძის ნაწილში და მათ მიერ 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდისათვის ჩვეულებრივი სტიპენდიის სახით მიღებული 600 ლარი ჩაეთვალოთ წინამდებარე ბრძანებით დანიშნულ საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდიის 1000 ლარის ნაწილის მიღებად და სხვაობა 400 ლარი გაიცეს დამატებით.

3. ბრძანება ჩაბარდეთ ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და ფაკულტეტებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ გურამ გვარიშვილი